,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ" რექტორის 2019 წლის 17 დეკემბერის №316/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 თებერვლის №1/2020 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3

ქ. თბილისი 25 თებერვალი 2020 წელი

12.00 საათი

სხდომას ესწრებოდა კომისიის ხუთივე (5) წევრი - 1. თამარ გაგოშიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. დავით ძიძიგური (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. მანანა გაბაშვილი; 4. ლალი სურმანიძე; 5. შორენა მამუკაძე (კომისიის მდივანი);

დღის წესრიგი:

,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ" რექტორის 2020 წლის 17 დეკემბერის №316/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში **მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და მისი დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით კენჭისყრის ჩატარება.**

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის თამარ გაგოშიძის და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე გასაუბრებაზე კონკურსანტის გამოსვლის შედეგები.

კომისია ასევე გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს და შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტ ვახტანგ ნადარეიშვილის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ პროფესორის თანამდებობაზე
ვახტანგ ნადარეიშვილის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა – 5, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: თამარ გაგოშიძე

კომისიის მდივანი: შორენა მამუკაძე